ავტობიოგრაფია

მე, ლევან მიქაბერიძე დავიბადე 1982 წლის 7 მარტს.

1999 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 192-ე საჯარო სკოლა.

2005 წელს წარჩინებით დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი სპეციალობით სამართლისმცოდნეობა. მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია;

2005 წელს დავამთავრე ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით მეტეოროლოგია, ატმოსფეროს ეკოლოგია. მომენიჭა გეოგრაფიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მეტეოროლოგ-კლიმატოლოგის კვალიფიკაცია;

2007 წელს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი კომპლექსური სასწავლო კურსი და ავიღე შესაბამისი სერტიფიკატი.

2011 წელს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში და ავიღე შესაბამისი სერტიფიკატი.

2012 წელს ჩავირიცხე სსიპ ,,იუსტიციის უმაღლეს სკოლაში'' მსმენელად და გავიარე სრული სასწავლო კურსი. სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით ვირიცხები იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში და მიღებული მაქვს შესაბამისი სერტიფიკატი.

13.03.2006წ. დავინიშნე თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიებისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილება) კურიერის თანამდებობაზე.

06.09.2006წ. დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბიუროს კანცელარიაში (განყოფილებაში) სპეციალისტად.

23.04.2007წ. დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სხდომის მდივნის მოვალეობის შემსრულებლად.

25.03.2009წ. დამევალა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწის მოვალეობის შესრულება.

27.02.2009წ. დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის ბიუროს სხდომის მდივნად.

05.01.2009წ. დამევალა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწის მოვალეობის შესრულება.

20.01.2010წ. დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბიუროში მოსამართლის თანაშემწედ.

02.03.2012წ. დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანცელარიის (განყოფილების) სექტორის უფროსად.

01.11.2013წ. ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო განყოფილების სამოქალაქო საქმეთა პალატის სამდივნოში - კონსულტანტად.

29.11.2013წ. სსიპ „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს'' 29.11.2013წ. N1/195 გადაწყვეტილებით განვმწესდი ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ სამი წლის გამოსაცდელი ვადით.

2015 წელს (სექტემბერი-დეკემბერი) საქართველოს საპატრიარქოს წმ.ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს (შრომის სამართალი/ სამოქალაქო პროცესი).

25.07.2016წ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14.07.2016წ. N1/169 გადაწყვეტილებით სამი წლის გამოსაცდელი ვადით 25 ივლისიდან განვმწესდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მოსამართლედ.

30.11.2016წ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 28.10.2016წ. N1/266 გადაწყვეტილებით განვმწესდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ უვადოდ კანონით დადგენილ ასაკის მიღწევამდე.

ვარ დასაოჯახებელი.

---------- / ლევან მიქაბერიძე/